

# ჰადისებს ვსწავლობ

# სისუფთავეს ყურადღებას ვაქცევთ

ალლაჰი სუფთაა, სისუფთავე უყვარს. (ჰადისი შერიფი)

muslim GEORGIA international charity foundation

გამომცემლობა თიმაში ბავშვები



# ჰადისებს ვსწავლობ

## სისუფთავეს ყურადღებას ვაქცევთ


ავტორი:
ნურ ქუთლუ
(ბავშვთა განვითარებისა და განათლების დოქტორი)



ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძე

მხატვარი:
აიშე ქითილი

გამოცემის ხელმძღვანელი:
სავაშ ოზდემირი

მთავარი რედაქტორი:
შებნემ ქანოღლუ

რედაქტორი:
არზუ დემირი

გარეკანი და შიდა დიზაინი:
სეფერ ქოჩაქი







გამომცემლობა
თიმაში ბავშვები





# ახლა ზეინეფისა და თარიქის გაცნობის დროა!

ზეინეფი ბაღში დადის, თარიქი კი პირველ კლასში სწავლობს. მათ ჩვენი შუამავალი, ხზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ.) ძალიან უყვართ. სახლში ჰადისების ყუთი აქვთ.

მათი მშობლები ქაღალდზე ჰადისებს წერენ და შემდეგ ამ ყუთში ათავსებენ. ჰადისები, ჩვენი შუამავლის ნაბრძანები აღმზრდელობითი შინაარსის ცექსცებია. ზეინეფი და თარიქი კვირის განმავლობაში თითო ჰადისს სწავლობენ.



თავდაპირველად, "სალლალლაჰუ ღალეიჰი ვესელლემის (ალლაჰის სალათი და სალამი მას)" წარმოთქმით ჩვენს შუამავალს ახსენებენ, შემდეგ ყუთიდან ერთ ჰადისს იღებენ.

ჰადისის მნიშვნელობას უფროსებს ეკითხებიან და შემდეგ ცდილობენ ჰადისის მცნებისამებრ მოიქცენ. ასეთი ქცევით მათ სურთ ჩვენი შუამავლის მსგავსად, ალლაჰის საყვარელი ადამიანები გახდნენ.





ზეინეფი ბაღიდან, თარიქი კი
სკოლიდან დაბრუნდა. ორივე
ოთახში ისვენებდა.
საიდანღაც ხმაური მოისმათ:

"ცაკ, ცაკ, ცაკ"





ხმაზე ორივე წამოხტა.
თარიქმა თქვა:
–ალბათ მამუა
სახელოსნოში მუშაობს.
ზეინეფმა თქვა:

–ნიშნების დრო
ახლოვდება. ალბათ სათამაშოს
ამზადებს რომ გვაჩუქოს.







სარდაფში
მათ ბაბუას,
ბატონ ომერს,
სახელოსნო ჰქონდა.

მას ამ სახელოსნოში ბავშვებისთვის ხის სათამაშოების გაკეთება უყვარდა. თოჯინები, მანქანები, სარწევი ცხენები, სათამაშო აკვნები...

ბატონი ომერი ძალიან კარგი ხელოსანი იყო. მათ სახლში არსებული მაგიდა, სკამი და მსგავსი ნივთები მისი გაკეთებული იყო. ახლა კი ბავშვების გასამხიარულებლად მუშაობდა. ზოგჯერ ზეინეფსა და თარიქს სიურპრიზს უმზადებდა, როცა მათ ეძინათ სათამაშოებს ბალიშთან უტოვებდა.









ზეინეფსა და თარიქს ბაბუას გაკეთებული ახალი სათამაშო ძალიან მოსწონდათ.

**– ამ კვირის ჰადისი ბაბუას ამოვაღებინოთ ყუთიდან!**

თქვა თარიქმა.

შეიძლება გაკეთებული სათამაშოც გვაჩვენოს.

ეს აზრი ზეინეფსაც მოეწონა. ჰადისი ყუთი აიღეს და ქვევით ჩავიდნენ. სახელოსნოს კარზე დააკაკუნეს.



–ვინაა?– იკითხა ბაბუამ.

და–ძმამ უპასუხა:

–ჩვენ ვართ ბაბუა, შეიძლება შემოვიდეთ?

–ერთი წუთით მოიცადეთ ბავშვებო!









მაცონმა ომერმა
სათამაშოს ნაწილები
მაგიდაზე დააწყო და ცილოს ნაჭერი
გადააფარა. შემდეგ ბავშვებს
გსაძახა:



–ახლა შეგიძლიათ შემოხვიდეთ!
როცა შევიდნენ ზეინეფმა უთხრა:

**–გვინდა რომ კვირის ჰადისი შენ ამოიღო.**

ბავშვები ბამუას გვერდით,
ცამურეცზე ჩამოსხდნენ. თარიქმა
ჰადისის
ყუთის სახურავი გახსნა და
ბამუას გაუწოდა.







ბაბუამ ყუთიდან ჰადისი ამოიღო და წაიკითხა:

– ალლაჰი სუფთაა, სისუფთავე უყვარს.

შემდეგ ჰადისის მნიშვნელობა განუმარტა:

– ალლაჰმა ყველა გაჩენილს სისუფთავის თვისება მიანიჭა. მაგალითად სამყაროს გასასუფთავებლად წვიმა, თოვლი და ქარი შექმნა. ალლაჰს ადამიანების სუფთად ყოფნა სურს.



ამ დროს მირმირმა "მიაუ" დაიკნავლა და თათები აილოკა.

ბაცონმა ომერმა გაიცინა და თქვა



– მირმირ შენ როგორ დამავიწყდები? ალლაჰმა კატებიც სისუფთავის მოყვარულ ცხოველებად გააჩინა.





–ბაბუა, შენი სახელოსნო ძალიან დაბინძურებულა. შეგვიძლია დასუფთავებაში მოგეხმაროთ?



– შეეკითხა ზეინეფი.

ბაცონმა ომერმა ეს შემოთავაზება მიიღო.

–მართალი ხარ პაცარა გოგონავ, სახელოსნოს დასუფთავების დრო მოვიდა. ერთად თუ ვიმუშავებთ აქაურობა განათდება. მაგრამ ეს საქმე კვირის ბოლოსთვის გადავდოთ.

თარიქმა ჰკითხა ბაბუას:

–ახალ სათამაშოს გვაჩვენებ?

ბაცონმა ომერმა მიუგო:

–შენ სიურპრიზს გიმზადებ, ამიცომაც ჯერ ვერ გაჩვენებ.





და–ძმას არ უნდოდა, მაგრამ სათამაშოს უნახავად დაბრუნდნენ სახლში. ხელების დასაბანად სააბაზანოში გავიიდნენ. სააბაზანოში მათ მამა აბდესს იღებდა. ამის დანახვაზე ბავშვებმა ერთხმად წარმოთქვეს ჰადისი: "ალლაჰი სუფთაა, სისუფთავე უყვარს."



## –მამიკო, აბდესიც სისუფთავეა?

ჰკითხა თარიქმა.
მამამ უპასუხა:
–რა თქმა უნდა შვილო. ლოცვისას ალლაჰის წინაშე ძალიან სუფთად უნდა წარვსდგეთ, ისევე როგორც ჩვენთვის საყვარელი ადამიანების წინაშე.







კვირის ბოლოს სახელოსნოს დასალაგებლად სამზადისი დაიწყო. მათმა დედამ, ქალბატონმა მელექმა, წყლით სავსე ორ ვედროში დასასუფთავებელი საშუალება ჩაასხა. ბებია ჰათიჯემ კი დასასუფთავებელი ტილოები მოამზადა.

ზეინეფმა ტილოები, თარიქმა კი – ცოცხი, აქანდაზი და იატაკის საწმენდი აიღო და ქვევით ჩავიდნენ. მამამ კი წყლით სავსე ვედროები ჩაიტანა სახელოსნოში. სახელოსნოს კართან მისულმა თარიქმა თქვა:



– რა მაგარია. ბაბუას ძალიან უცნაური რაღაცები აქვს. დასუფთავებისას შეგვიძლია ისინი დავათვალიეროთ.









და–ძმა სახელოსნოში შევიდა. ბაბუა სათამაშოებს თაროზე ალაგებდა. მათი დანახვა ძალიან გაუხარდა.

–ჩვენი საქმე ცოტა რთული იქნება! – თქვა ბაბუამ.

სახელოსნოში არსებული ხელსაწყოები და მასალები ირგვლივ იყო მიმობნეული. იატაკი კი – ნახერხით სავსე.

მათ, მამამ, ბატონმა მეჰმეთმა,

წარმატება უსურვა და სახლში დაბრუნდა.









დასუფთავების დაწყებამდე საქმე გაინაწილეს. ბაცონმა ომერმა იატაკზე დაყრილი ნაჭერჭითა და მტვრით აქანდაზი გაავსო. თარიქმა იატაკი მოწმინდა.



შემდეგ, ბაცონმა ომერმა მაგიდაზე დაყრილი ხელსაწყოები და მასალები მიალაგა. ზეინეფმა მაგიდიდან და კარადებიდან მტვერი გადაწმინდა. ის თაროები, რომლებსაც ვერ მისწვდა, ბაბუამ გადმოწმინდა.

დასუფთავების შემდეგ სახელოსნო ანათებდა. და-ძმა ძალიან დაიღალა. ბაბუამ მათ მადლობა გადაუხადა.









შემდეგ შვილიშვილები ერთ მოწყობილობასთან მიიყვანა, რომელიც ჯერ არ ენახათ. აღელვებულმა თარიქმა ჰკითხა:

– ეს მოწყობილობა რაში გამოიყენება?

ბატონმა ომერმა უთხრა:

–ფილმს ფარდაზე აჩვენებს. შემდეგ კი მოწყობილობა ჩართო.

ფილმში მათი მამა პატარა ბავშვი იყო. რეზინის მილიდან წყალს ასხამდა, თან ეზოს ასუფთავებდა და თან თამაშობდა.

–მამას სისუფთავე მაშინაც ძალიან ჰყვარებია – თქვა ზეინეფმა.









დასუფთავების შემდეგ ბატონი ომერი კიდევ ერთი კვირა სახელოსნოში მუშაობდა. ნიშნების ფურცლის მოსვლამდე სიურპრიზის მოსწრება სურდა. ბოლოს დიდი დღეც დადგა. და-ძმა სახლში ნიშნების ფურცლებით დაბრუნდა. ეზოში შესვლისას გაოცებული დარჩნენ.



სათამაშო სახლის ფანჯარაზე თოჯინების სცენა იყო მოწყობილი, სცენის წინ კი ცამეტი? 







ყველა თავის ადგილზე დაჯდა. ბაბუა,
თოჯინებით ხელში,
სათამაშო სახლთან მოვიდა.
ცოტა ხანში შოუ დაიწყო. ამ შოუში
სისუფთავის მნიშვნელობა იყო ახსნილი.
ბაბუამ ზეინეფისა და თარიქის თოჯინები
შოუს გმირებად აქცია. ორი ბავშვი საპნითა და
წყლით იმ მიკრობების განადგურებას
ცდილობდა, რომელთაც მათი დაავადება სურდათ.
შოუ ყველას ძალიან მოეწონა, ფეხზე წამოდგნენ და ცაში
დაუკრეს.









შოუს შემდეგ ბაბუამ ბავშვებს ფერადი ბარათები დაურიგა. მათზე ჰადისი: "ალლაჰი სუფთაა, სისუფთავე უყვარს" ეწერა.



ბავშვებმა ეს ბარათები თავიანთ სახლებში თვალსაჩინო ადგილას მიაკრეს. ამ ამბის შემდეგ ისინი სიხარულით ბანაობდნენ და ფრჩხილებს იჭრიდნენ.



ტუალეტში შესვლამდე და გამოსვლის შემდეგ ხელებს იბანდნენ. კბილების გახეხვას არ ივიწყებდნენ. იმის ფიქრი, რომ ალლაჰს ისინი უყვარდა, ახარებდათ. ამიტომაც, მათთვის მაგალითის მიმცემ, ჩვენს შუამავალს, მთელი გულით უხდიდნენ მადლობას.







ალლაჰმა ბუნების სისუფთავისთვის წვიმა,თოვლი და ქარი შექმნა. მოდით სააბაზანოს კედელზე ბუნების აასეთი კომპოზიცია შევქმნათ. თან სისუფთავეს მივეჩვევით და თან გავერთობით.

**რა დაგვჭირდება?**

- ნაილონის ფერადი პარკები (ლურჯი, თეთრი, წითელი, ყვითელი, მწვანე)
- თეთრი ქაღალდი
- შავი ფლომასტერი
- მაკრატელი

ვინმე უფროსს ვთხოვოთ თეთრ ქაღალდზე ყვავილი, ღრუბელი და წვიმის წვეთი (ცოტა მოზრდილი) დაგვიხატოს. ფორმები გამოვჭრათ და ყალიბი მივიღოთ.





ღრუბლის ყალიბი პარკზე, ყვავილის – წითელზე და ყვითელზე, ფოთლები – მწვანეზე, წვიმის წვეთი – ლურჯზე დავდოთ. ფლომასტერით ყალიბები პარკზე შემოვხაზოთ.

ამ ხაზებს მივყვეთ და ფორმები გამოვჭრათ.





აბაზანის კედელზე ბუნების კომპოზიციის შექმნის დროა. გამოჭრილი ფორმები წყლით დავასველოთ და კედელზე მივაკრათ.

სისუფთავეზე ზრუნვისას (კბილების გახეხვა, ხელის დაბანა, ხელსახოცის გამოყენება და ა.შ.) წვეთები ყვავილებთან ჩამოვიცანოთ.

muslim georgia